ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებისა და პროგრამულ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების მიზნით სამუშაო ჯგუფის სხდომის 2023 წლის 15 აგვისტოს ოქმი N3

სხდომა დაიწყო 14:00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ:

ნინო ლაცაბიძე	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე
ბესიკ ტოგონიძე	მერის მოადგილე - თავმჯდომარის მოადგილე
კახა გურული	მერის პირველი მოადგილე- სამუშაო ჯგუფის წევრი
ოთარი ტატალაშვილი	მერის მოადგილე- სამუშაო ჯგუფის წევრი
მამუკა მამაიაშვილი	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური- პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ბიუჯეტის საკითხებზე
მიხეილი მუზაშვილი	ადმინისტრაცია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი
ზაზა ზაზაძე	ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური- პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამუშაო ჯგუფის წევრი
ნინო სოსელია	ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური- პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამუშაო ჯგუფის წევრი
კობა ძლიერიშვილი	არქიტექტურის სამსახური -პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამუშაო ჯგუფის წევრი
ეთერი ქურდიანი	ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე - სამუშაო ჯგუფის მდივანი

არამუდმივი წევრები:

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელები;

ნინო ლაცაბიძე : აღნიშნულ სხდომაზე უნდა განვიხილოთ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები და 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოკლე მიმოხილვა.

ბესიკ ტოგონიძე: მოგახსენებთ, რომ მიმდინარეობდა კითხვარის შესაბამისად საზოგადოებრივი აზრის კვლევა 2024 წლის ქალაქ რუსთავის ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით. სამუშაო ჯგუფმა განახორციელა 1010 მოქალაქის გამოკითხვა მთელი ქალაქის მაშტაბით და განხორციელდა გამოკითხის შედეგების ანალიზი. გამოკვეთილია ძირითადი პრიორიტეტები, რაც გათვალისწინებული იქნება მომავალი 4 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში.

წარმოდგენილი შედეგების ანალიზის მიხედვით 2024 წლისთვის პრიორიტეტული მიმართულებები გამოიკვეთა შემდეგი მიმდევრობით:

1. ინფრასტრუქტურის განვითარება.
2. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
3. დასუფთავება და გარემოს დაცვა.
4. განათლება.
5. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.
6. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი.

შედარებისთვის წარმოგიდგენთ 2023 წლის გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილ პრიორიტეტებს:

1. ინფრასტრუქტურის განვითარება.
2. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი.
3. განათლება.
4. დასუფთავება და გარემოს დაცვა.
5. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.
6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

ნინო ლაცაბიძე: საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილი პრიორიტეტების მიხედვით, ამავდროულად მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის-გენერალური და განაშენიანების გეგმის, რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის, რუსთავის მუნიციპალიტეტის ველოსიპედით გადაადგილების სტრატეგიის, ყველა მოქმედი სტრატეგიის, ასევე გასული წლების საუკეთესო პრაქტიკის და სტატისტიკის გათვალსწინებით უნდა დაიგეგმოს 2024 წლის ბიუჯეტი და შემუშავდეს 2024–2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი უნდა დაიგეგმოს იმგვარად რომ ქალაქში მცხოვრები ყველა ბენეფიციარის ინტერესები მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული, ჩვენი მთავარი მიზანია ქალაქის განვითარება მოხდეს სისტემურად, მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობით და მონაწილეობით. დედაქალაქთან სიახლოვე, განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები და მოწესრიგებული

საზოგადოებრივი ტრანსპორტი უკვე გახდა სერიოზული ინვესტიციების მოზიდვის წყარო. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კულტურას, ახალგაზრდობის განვითარებას, სპორტს. წარმატებული სტუდენტების და სკოლის მოსწავლეების (ოქროს, ვერცხლის) მედალოსნების წახალისება, მათვის სპორტული სივრცეების და საგანმანათლებლო ახალი კერების როგორიცაა „მედიათეკა" უნდა გახდეს მთავარი ხელშემწყობი წარმატებული ახალგაზრდა თაობის ფორმირების. სპორტში გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები და უნდა გახდეს მომავალ წლებშიც ერთ-ერთი წამყვანი სფერო, დასრულებული სპორტის სასახლე გახდება ჯანსაღი ცხოვრების საწინდარი და ახალი სპორტული მიღწევების საფუძველი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა ყოველწლიურად წარმოადგენს რუსთავის მუნიციპალიტეტის მთავარ პრიორიტეტს უნდა ვუპასუხოთ გამოწვევებს სწორად, უნდა მოხდეს არსებული საბიუჯეტო პროგრამების კრიტერიუმების დაზუსტება და ასევე არსებული გამოწვევების შესაბამისი ახალი საბიუჯეტო პროგრამების დამატება.

მამუკა მამაიაშვილი: ასევე წარმოდგენილია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მოკლე მიმოხილვა:

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 87 367,7 ათ. ლარი, განხორციელებული ცვლილებების გათვალიწინებით ბიუჯეტის პარამეტრები დაზუსტდა და განისაზღვრა 113 127,9 ათ. ლარით.

2023 წლის ბიუჯეტში შემოსავლების სახით მობილიზებულია 40 440,1 ათ. ლარი, რაც 6 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის (35 429,0 ათ. ლარი) 114,0 პროცენტია, მათ შორის:

გადასახადების სახით მობილიზებულია 31 337,7 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (26 824,6 ათ. ლარი) 116,8 პროცენტია.

გრანტების სახით მობილიზებულია 4 781,3 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 825,2 ათ. ლარი) 99,1 პროცენტია.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 4 321,1 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 779,1 ათ. ლარი) 114,3 პროცენტია.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 6 464,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5 753,0ათ. ლარი) 112,4 პროცენტია.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის 6 თვის ხარჯვითი ნაწილის გეგმამ ეკონომიკური კლასიფიკაციით შეადგინა 50 072,8 ათ. ლარი, მთლიანმა საკასო ხარჯმა - 47 670,5 ათ. ლარი, გეგმის 95%. კონკრეტული მუხლების მიხედვით: შრომის ანაზღაურება დაფინანსდა გეგმის - 99%–ით, საქონელი და მომსახურება - 89%-ით, სასესხო ვალდებულებების პროცენტი - 100%-ით, სუბსიდია - 98%–ით, სოციალური უზრუნველყოფა – 95%-ით, სხვა ხარჯები - 93%-ით, არაფინანსური აქტივები - 98%-ით, ვალდებულებები - 100%.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის 6 თვის ხარჯვითი ნაწილის გეგმამ ფუნქციონალური კლასიფიკაციით შეადგინა 48 485,5 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ 46 083,3 ათ. ლარი, გეგმის 95%.

საერთო დანიშნულების მომსახურება დაფინანსდა გეგმის - 97%, თავდაცვა - 86%, ეკონომიკურ საქმიანობა - 97%, გარემოს დაცვა - 87%, საბინაო-კომუნალურ მეურნეობა - 92%, განათლება, დასვენება, კულტურა და რელიგია - 98% და ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა - 96%.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტში სარეზერვო ფონდის გეგმა იყო 591,4 ათ. ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 565,2 ათ. ლარი, რის საშუალებითაც დაკმაყოფილდა 358 განცხადება.

ნინო ლაცაბიძე: დაევალოს შესაბამის სამსახურებს 2024 წლის ბიუჯეტის პროგრამებში მაქსიმალურად აისახოს მოსახლეობის პრობლემები და გამოწვევები. კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მოხდეს ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირება და წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ დროულად განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცედურები რომ მოქალაქეებმა მიიღონ ბიუჯეტში დაგეგმილი პროგრამების შესაბამისი სერვისები.

მადლობას გიხდით და გისურვებთ წარმატებებს.

ნინო ლაცაბიძე - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე

ბესიკ ტოგონიძე - მერის მოადგილე - თავმჯდომარის მოადგილე

კახა გურული - მერის პირველი მოადგილე- სამუშაო ჯგუფის წევრი

ოთარი ტატალაშვილი - მერის მოადგილე- სამუშაო ჯგუფის წევრი

მამუკა მამაიაშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური- პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ბიუჯეტის საკითხებზე

მიხეილი მუზაშვილი - ადმინისტრაცია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი

ზაზა ზაზაძე - ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური- პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამუშაო ჯგუფის წევრი

ნინო სოსელია - ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური- პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამუშაო ჯგუფის წევრი

კობა ძლიერიშვილი - არქიტექტურის სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამუშაო ჯგუფის წევრი

ეთერი ქურდიანი - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე - სამუშაო ჯგუფის მდივანი